



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



ჰანდეიჩის მართვასთან დაკავშირებული საკანდამენტო კონსეროლი

თბილისი, 2022

ამ პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა „ღია საზოგადოების ფონდისა“ და ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს დონორების შეხედულებებს.



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

შესავალი	4
მეთოდოლოგია	4
ძირითადი მიგნებები	5
თავი I. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და გაგრძელება	7
თავი II. საგანგებო მდგომარეობის შემდეგ პარლამენტის უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირება	8
თავი III. საპარლამენტო კონტროლის ცალკეული მექანიზმების გამოყენება „კორონავირუსის“ პანდემიის დროს	10
3.1. პრემიერ-მინისტრის ანგარიში	10
3. 2. პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა	11
3. 3. თემატური მოკვლევა	11
3. 4. ინტერპელაცია	14
3. 5. მინისტრის საათი	17
3. 6. პარლამენტის წევრის კითხვა	19
თავი IV. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც არ გამოყენებულა „კორონავირუსის“ პანდემიის დროს	21
4.1. მექანიზმები, რომლებიც არ გამოიყენა პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის დროს	21
4. 2. თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე დასწრება	21
4. 3. თანამდებობის პირების მოწვევა კომიტეტის სხდომაზე	22
რეკომენდაციები	25
დანართი 1. საანგარიშო პერიოდში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფები	25
დანართი 2. პარლამენტის წევრის კითხვები პანდემიასთან დაკავშირებით	25

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია **2020 წლის 21 მარტიდან, 2021 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით - პანდემიის მართვასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მთავრობის საქმიანობაზე განხორციელებული ზედამხედველობა და მისი შედეგები.

„კორონავირუსის“ პანდემიის პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მთავრობის საქმიანობის ეფექტური კონტროლი ვერ განახორციელა. საკანონმდებლო ორგანომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება მთავრობაზე მოახდინა. პარლამენტს, ასევე, არ შეუძლონ მთავრობის მიერ პანდემიასთან დაკავშირებით გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. საპარლამენტო კონტროლს მიღმა დარჩა მთავრობის მიერ ამოქმედებული კონკრეტული შემზღვეველი ღონისძიებების აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასება.

კვლევის მიზანია, შეფასდეს პანდემიის პროცესში პარლამენტის მიერ მთავრობაზე ზედამხედველობის განხორციელება, კერძოდ, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება პანდემიასა და მის თანმდევ, მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით. „კორონავირუსის“ პანდემიით გამოწვეული კრიზისის პროცესში, ქვეყნისთვის კრიტიკულ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო ზედამხედველობა. საანგარიშო პერიოდი ქვეყანაში საარჩევნო პროცესებს და პოლიტიკურ დაძაბულობას დაემთხვა, რამაც გავლენა იქონია საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაზეც.

მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა როგორც კანონმდებლობის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს, ასევე პარლამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის მიერ „პარლამენტის მონიტორინგის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვების შედეგებს.

„კორონავირუსის“ პანდემიასთან და მის თანმდევ პრობლემებთან დაკავშირებით საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას, ნათლად გამოიკვეთა ყველა ის პრობლემა, რაც ზოგადად, საქართველოში, ახასიათებს საპარლამენტო ზედამხედველობას.

- ქვეყნისთვის კრიზისულ ვითარებაში, პარლამენტმა ვერ შეძლო სრულფასოვნად განხორციელებინა საპარლამენტო კონტროლი, რაც რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი; მთავრობის წევრთა მიერ, ხშირ შემთხვევაში, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების იგნორირება; ოპოზიციის წევრების, მეტწილად, ბოიკოტის რეჟიმში ყოფნა; საპარლამენტო ზედამხედველობის ტრადიციების ნაკლებობა და კანონმდებლობა, რომელიც ოპოზიციას არ ანიჭებს საკმარის უფლებამოსილებებს.
- ოპოზიციისთვის მინიჭებული შეზღუდული უფლებამოსილებების განხორციელებაც ვერ ხდება ჯეროვნად, რადგან მთავრობა არ თანამშრომლობს ოპოზიციასთან და მათ ინიციატივებს, განახორციელონ საპარლამენტო ზედამხედველობა, ძირითადად რეაგირების გარეშე ტოვებს. უმრავლესობის მიერ განხორციელებული კონტროლი კი არაეფექტურია და უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს.
- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ყოფილა გამოყენებული, როგორც უშუალოდ პანდემიის მართვის პროცესთან, ასევე თანმდევ, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით, როგორცაა კორუფციის რისკები პანდემიის დროს, სახელმწიფო შესყიდვები, განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებები და ა.შ. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს არ მოუწვევია სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.
- „კორონავირუსის“ პანდემიის დროს, ონლაინ სწავლების საკითხთან დაკავშირებით, განათლების კომიტეტის სხდომაზე არ მოუწვევიათ განათლების მინისტრი. ამ საკითხზე განათლების კომიტეტმა პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ შექმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი.
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ბიუჯეტის შესრულების ფარგლებში განიხილავდა „კორონავირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებულ საბიუჯეტო საკითხებს, თუმცა ცალკე სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვებზე, არ ჩატარებულა. პარლამენტს ასევე არ გამოუყენებია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები „კორონავირუსის“ პანდემიის დროს კორუფციის გამრდილი რისკებისა და შესაძლო კორუფციული სქემების გამოსავლენად.
- ოპოზიციური ფრაქციების მიერ, კომიტეტის სხდომაზე, „კორონავირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებით მთავრობის წევრის ან ანგარიშვალდებული პირის მოწვევა ვერ განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში, ფრაქციებმა, კომიტეტის სხდომებზე, „კორონავირუსის“ თემატიკასთან დაკავშირებით, რამდენჯერმე მოიწვიეს ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც სხდომებზე არ გამოცხადდნენ. მოწვეულ პირებს შორის იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომიტეტებს კი, ამ საკითხებთან დაკავშირებით არც ერთხელ არ მოუწვევიათ მთავრობის წევრი და ანგარიშვალდებული პირი.

- საგანგებო მდგომარეობის დროს (2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით) პარლამენტის კომიტეტების, ფრაქციების და ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ არ ყოფილა გამოყენებული კონტროლის შემდეგი მექანიზმები:
 - ▶ მინისტრის საათი;
 - ▶ ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი;
 - ▶ პარლამენტს არ მოუთხოვია პრემიერ-მინისტრისაგან სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
 - ▶ პარლამენტის კომიტეტებს და ფრაქციებს არ მოუთხოვიათ პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის მისვლა.
 - ▶ პარლამენტს (პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის გადაწყვეტილებით) არ მოუწვევია პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი;
- საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტებს არ შეუმოწმებიათ პანდემიასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მათი შესრულების მდგომარეობა. აღნიშნული მექანიზმი ხარვეზების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა. იმ პირობებში კი, როდესაც მთავრობას, პანდემიის მართვის დროს, ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფაქტობრივად სრული დისკრეცია მიენიჭა, ამ მექანიზმის გამოყენება, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა;
- პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით, შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფები, რომელთა ნაწილმაც დაასრულა მუშაობა, თუმცა საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია შემუშავებული რეკომენდაციების მთავრობის მხრიდან შესრულება, რაც სამომავლოდ ჩვენი დაკვირვების საგანი იქნება.
- საანგარიშო პერიოდში „კორონავირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებით გაიგზავნა სადეპუტატო კითხვები, კითხვების ავტორები უმეტესად ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ. კითხვების ნაწილს ანგარიშვალდებულმა პირებმა პასუხი არ გასცეს.

თავი I. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და გაბრძნება

საქართველოში ახალი „კორონავირუსის“¹ პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. მთავრობამ, ძირითადად, ამ ეტაპიდან დაიწყო პანდემიასთან ბრძოლისთვის გარკვეული შეზღუდვების დანერგვა, რომელთა დიდ ნაწილს, თავდაპირველად, სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ 2020 წლის 21 მარტს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, მიიღო სავალდებულო სახე.

პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 [დეკრეტით](#) დადგინდა უფლებათა ბლანკეტური შეზღუდვის საფუძვლები, ხოლო კონკრეტული შეზღუდვების ხასიათისა და ფარგლების დადგენის უფლებამოსილება მთავრობაზე იქნა დელეგირებული. უფრო მეტიც, ცალკეული საკითხების მოწესრიგების კომპეტენცია მიენიჭათ სამინისტროებსაც. შედეგად, მთავრობას უფლებების შეზღუდვის ფართო დისკრეცია მიენიჭა.

ეფექტიანი საპარლამენტო ზედამხედველობა უზრუნველყოფილი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის დეკრეტი მკაფიოდ განსაზღვრავდა უფლების შეზღუდვის კონკრეტულ ფარგლებს, რომლის პირობებშიც მთავრობას მოქმედების შესაძლებლობა მიეცემოდა. ამის საპირისპიროდ, პრეზიდენტის დეკრეტით მკაფიოდ არ იქნა განსაზღვრული კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ფარგლები, შესაბამისად, სრულად მთავრობის კომპეტენციაში მოექცა უფლებებში ჩარევის შესახებ არსებითი და შინაარსობრივი გადაწყვეტილებების მიღება. შედეგად, საპარლამენტო კონტროლს მიღმა დარჩა მთავრობის მიერ ამოქმედებული კონკრეტული შემზღუდველი ღონისძიებების აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 2020 წლის 21 აპრილის ჩათვლით, თუმცა, მოგვიანებით, იგი 22 მაისამდე გაგრძელდა. პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო, თუმცა მისი გაგრძელების საკითხმა პარლამენტის წევრებს შორის ცხარე დისკუსია გამოიწვია. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ოპოზიციური პარტიები, ხელისუფლებისგან ანტიკრიზისული გეგმისა და მანამდე განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენას ითხოვდნენ. საბოლოოდ, პარლამენტმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და მთავრობაზე უფლებამოსილების დელეგირებასთან დაკავშირებით, რამდენიმე სარჩელი წარედგინა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელთა ნაწილზე დღემდე არ არის გადაწყვეტილება მიღებული.³ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა, ასევე, სარჩელი, რომლის თანახმად, ე.წ. „კომენდანტის საათის“ კონსტიტუციასთან შესაბამისობა იყო სადავო, სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.⁴

1 2020 წლის 11 მარტს ინფექციური დაავადების გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა.
2 ვრცლად იხ. „COVID-19 ინფექციის გამოწვევების მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 02 ივლისი, 2020, <https://bit.ly/30beFSj>
3 სხვა წარდგენილ სარჩელებზე ინფორმაცია იხ. აქ: „COVID-19 ინფექციის გამოწვევების მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 02 ივლისი, 2020, <https://bit.ly/30beFSj>, გვ. 40.
4 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

თავი II. საგანგებო მდგომარეობის უმჯობესი პარლამენტის უფლებამოსილების მთავრობაზე დადებითი

2020 წელს პარლამენტმა მხარი დაუჭირა „სამოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს, რომელთა თანახმად, ადამიანის ზოგიერთი ძირითადი უფლებების შეზღუდვა, საკარანტინო ღონისძიებების სახით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე არის შესაძლებელი. შეზღუდვის გამოყენების წესსა და მასშტაბებს მთავრობა განსაზღვრავს. გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტს აღარ განუხორციელებია ზედამხედველობა მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე, კონტროლს მიღმა დარჩა ის საკითხი, თუ რამდენად თანაბომიერი და პროპორციული იყო მთავრობის ქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები პანდემიის პირობებში, მათ შორის, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვის კუთხით გამოყენებული მექანიზმები.

კანონპროექტის განხილვის ეტაპზე შეფასებებში აღვნიშნავდით,⁵ რომ ცვლილებები წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და მთავრობის მიერ ადამიანის იმ ძირითად უფლებათა შეზღუდვას ითვალისწინებს, რომლებიც, კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს უნდა შეიზღუდოს და ისიც - პარლამენტის გადაწყვეტილებით.⁶ ამ კანონის მიღებით, პარლამენტმა ფაქტობრივად უარი თქვა ქვეყნისათვის კრიტიკულ ვითარებაში მისი ძირითადი ფუნქციის განხორციელებაზე და საკარანტინო ღონისძიებებით დე ფაქტო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

აღნიშნული კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაასაჩივრეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც 2021 წლის 11 თებერვალს [არ დააკმაყოფილა](#) სარჩელი ძირითად ნაწილში.⁷ უფლებამოსილების დელეგირება მხოლოდ შრომის უფლებასთან მიმართებით იქნა ცნობილი არაკონსტიტუციურად. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მოსამართლე - გიორგი კვერენჩილაძე, არ დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილებაზე [განსხვავებული აზრი](#) დანერგა. **მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და უარყოფითად აისახება პარლამენტის, როგორც ძლიერი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე.** აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან და მათ მიერ დადგენილ სტანდარტებთან, რომელთა თანახმად, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს იმის კონტროლი და ზედამხედველობა, თუ რამდენად სწორად და ადეკვატურად ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან გადაუდებელი ზომები და რამდენად შეესაბამებიან ისინი დემოკრატიულ სტანდარტებს; უნდა გაუწიოს ზედამხედველობა,

5 ვრცლად იხ. „COVID-19 ინფექციის გამომწვევების მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 02 ივლისი, 2020, <https://bit.ly/30beFSj>; საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელება არაკონსტიტუციურია“ 19 მაისი, 2020, <https://bit.ly/3DbDdsE>.

6 „მე-9 მონვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 02 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3F3hl2X> გვ. 20.

7 საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე “პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ელუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ”. იხ.: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10658>.

რამდენად პროპორციული და დროებითია თავისუფლების შეზღუდვა, რამდენად მიზნობრივად მოხდა ეკონომიკური დახმარების გაცემა და ფინანსური სახსრების გახარჯვა.⁸

მთავრობისადმი [ამ კანონით](#) გათვალისწინებულ უფლებამოსილების დელეგირებას მოქმედების პერიოდი 4-ჯერ გაუგრძელეს და იგი დღესაც მოქმედებს.⁹

8 ინფორმაცია ვრცლად საერთაშორისო სტანდარტების შესახებ იხ. <https://bit.ly/3sQidn9> .

9 მთავრობაზე უფლებამოსილების დელეგირება მოქმედებს 2023 წლის 1 იანვრამდე.

3.1. პრემიერ-მინისტრის ანგარიში

- **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება**

პრემიერ-მინისტრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში, პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული მოხსენება, წერილობითი ფორმით, პარლამენტს წარედგინება 1 ივნისამდე.¹⁰

- **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ანგარიში**

პარლამენტს უფლება აქვს პრემიერ-მინისტრს მოსთხოვოს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა. ამ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.¹¹

საანგარიშო პერიოდში, პლენარულ სხდომაზე ანგარიშების წარდგენის მიზნით, პრემიერ-მინისტრის მოსმენა მოხდა **2** შემთხვევაში:

პრემიერ-მინისტრმა - გიორგი გახარიამ, სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება პარლამენტს 2020 წლის 29 მაისს წარუდგინა, მოხსენებით კი, პლენარულ სხდომაზე 26 ივნისს [წარსდგა](#), სადაც 2019-20 წლებში სამთავრობო პროგრამის შესრულების მდგომარეობაზე ისაუბრა.

პარლამენტის 2021 წლის 25 ივნისის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი, ყოველწლიური მოხსენებით [წარსდგა](#) სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ორივე ანგარიში, მათ შორის, მოიცავდა პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

10 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 150, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

11 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 151, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

3. 2. პენენაჲ სდომაჲ მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა

• საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა

მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნისთანავე მოუსმენს პარლამენტი.¹²

„კორონავირუსის“ პანდემიის საკითხებთან დაკავშირებით, 2020 წლის 21 მაისს, იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა - გიორგი გახარიამ, პარლამენტს საკუთარი ინიციატივით მიმართა საქმიანობის ანგარიშის წარდგენის თაობაზე. 27 მაისს პრემიერმა პარლამენტს „კორონავირუსთან“ გამკლავების ანგარიში წარუდგინა.¹³

პლენარულ სხდომაზე ანგარიშის წარდგენის შესახებ მოთხოვნით, 2021 წლის 13 ივლისს, პარლამენტს ასევე მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრმა. ანგარიში შეეხებოდა ბოლო პერიოდში, ქვეყანაში, განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, შსს-ს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მოსმენა დაგეგმილი იყო 2021 წლის 18 ივლისს. შსს მინისტრი მივიდა პარლამენტში, თუმცა ოპოზიციურმა პარტიებმა სიტყვით გამოსვლა პირველივე წუთზე შეაწყვეტინეს, ტრიბუნასთან ჩავიდნენ და მინისტრს სიტყვის გაგრძელების საშუალება არ მისცეს.¹⁴ პარლამენტმა აღნიშნული მოსმენა გადადო, რომლის მიზეზად ოპოზიციის მხრიდან განხორციელებული ქმედებები დასახელდა.

3. 3. თემატური მოკვლევა

აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან, კომიტეტის ან პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება, შეიქმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი.¹⁵

საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზეც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი.

თემატური მოკვლევის ჯგუფი ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს ან კომიტეტს.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა **23 თემატური მოკვლევის ჯგუფი**. აქედან, უშუალოდ „კორონავირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეიქმნა **6** ჯგუფი. საანგარიშო პერიოდში 6-დან 4 შემთხვევაში თემატური მოკვლევის ჯგუფმა წარადგინა დასკვნა. ვრცლად ამ ჯგუფების შესახებ იხილეთ ცხრილი.

12 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 154, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

13 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 154, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

14 „ვახტანგ გომელაურის მოსმენა გადაიდო“, 17.07. 2021, <https://bit.ly/3tXD5JF>.

15 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 155, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

კომიტეტი	თემატური მოკვლევის ჯგუფი	საქმიანობა
<p>აგრარულ საკითხთა კომიტეტი</p>	<p>„COVID-19-ის პანდემიის გავლენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ“</p> <p>შექმნის თარიღი: <u>15.04.2021</u></p>	<p>თემატური მოკვლევა განხორციელდა 2021 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით. თემატური მოკვლევის ჯგუფმა მოკვლევის ფარგლებში გამართა კერძო სექტორის, დასაბუთებული პოზიციის წარმდგენი პირებისა და სახელმწიფო უწყებების ზეპირი მოსმენები. საბოლოოდ, მოკვლევის ჯგუფმა მიიღო 7 დადასტურებული პოზიცია კერძო სექტორიდან და სახელმწიფო უწყებებიდან, გამართა 1 ზეპირი მოსმენა და მოუსმინა 2 პირს.</p> <p>ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის შესახებ ინფორმაცია წარდგენილ იქნა 2021 წლის 12 ოქტომბრის კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც მხარი დაუჭირეს.¹⁶ დასკვნაში აღნიშნულია მომდევნო პერიოდებისათვის რეკომენდაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურისადმი.</p> <p>ჯგუფის წევრები: ხათია წილოსანი (უმრავლესობა), ნინო წილოსანი (უმრავლესობა), შალვა კერესელიძე (ოპოზიცია, უფრაქციო პარლამენტის წევრი), გოდერძი ჩანქსელიანი (უმრავლესობა).</p>
<p>განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი</p>	<p>„COVID-19-ის პანდემიის გავლენა ზოგადი განათლების სისტემაზე საქართველოში“</p> <p>შექმნის თარიღი: 24.05.2021</p>	<p>თემატური მოკვლევის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან, საჯარო უწყებების, დარგობრივი მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, ასევე კერძო დაინტერესებული პირებისგან. ჯგუფმა წარადგინა ანგარიში.</p> <p>ჯგუფის წევრები: შალვა პაპუაშვილი, გიორგი ამილახვარი, თამარ ტალიაშვილი (უმრავლესობა).</p>

16 ვრცლად იხ. აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი #17, 2021 წლის 12 ოქტომბერი, <https://bit.ly/3HvsqMf> .

<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი</p>	<p>„COVID-19-ის გამონვევებზე საპასუხოდ, აღმასრულებელი უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების გავლენა ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობაზე“</p> <p>შექმნის თარიღი: <u>05.07.2021</u></p>	<p>პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, თემატური მოკვლევის ჯგუფს, მოკვლევის თემატიკის შესახებ ინფორმაცია 14 სხვადასხვა წყაროდან აქვს მიღებული. საანგარიშო პერიოდში ჯგუფს მუშაობა არ ჰქონდა დასრულებული.</p> <p>ჯგუფის წევრები: დავით სერგეენკო (უმრავლესობა), რამინა ბერაძე (უმრავლესობა), ირმა ზავრადაშვილი (უმრავლესობა), ნონა მამულაშვილი (ოპოზიცია).</p>
<p>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</p>	<p>„კრიზისულ და პოსტ კრიზისულ პერიოდში ტურიზმის სექტორის განახლებული სტრატეგია და მისი ეკონომიკური შედეგები“</p> <p>შექმნის თარიღი: 19.07.2021</p>	<p>თემატური მოკვლევის ჯგუფს 11 სხვადასხვა წყაროდან აქვს მიღებული ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში ჯგუფს მუშაობა არ ჰქონდა დასრულებული.</p> <p>ჯგუფის წევრები: დავით სონღულაშვილი (უმრავლესობა), გოჩა ენუქიძე (უმრავლესობა), ბეჟან ნაქაძე (უმრავლესობა), ხათუნა სამნიძე (ოპოზიცია), ლევან მგალობლიძე (უმრავლესობა), გელა სამხარაული (უმრავლესობა), ხატია ნილოსანი (უმრავლესობა), ირაკლი ბარქუა (უმრავლესობა).</p>
<p>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</p>	<p>„მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი გამონვევები და ხელშეწყობის მექანიზმები კრიზისულ და პოსტ კრიზისულ პერიოდში“</p> <p>შექმნის თარიღი: <u>25.05.2021</u></p>	<p>30 დეკემბერს კომიტეტმა წარადგინა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა.</p> <p>ჯგუფის წევრები: დავით სონღულაშვილი (უმრავლესობა), ეკა სეფაშვილი (უმრავლესობა), გოჩა ენუქიძე (უმრავლესობა), მაკა ბოჭორიშვილი (უმრავლესობა), ხატია ნილოსანი (უმრავლესობა), მარიამ ლაშხი (უმრავლესობა), მიხეილ დაუშვილი (ოპოზიცია) ბექა ლილუაშვილი (ოპოზიცია).</p>
<p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო</p>	<p>„ქალების მონაწილეობა ჩრდილოვან ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა მათზე“</p> <p>შექმნის თარიღი: <u>27.04.2021</u></p>	<p>3 დეკემბერს თემატური მოკვლევის ჯგუფმა წარადგინა დასკვნა, რომელიც ითვალისწინებს 16 რეკომენდაციას. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადები.</p> <p>ჯგუფის წევრები: ხატია ნილოსანი (უმრავლესობა), რამინა ბერაძე (უმრავლესობა), მარიამ ლაშხი (უმრავლესობა).</p>

საანგარიშო პერიოდში მოქმედი თემატური მოკვლევის ჯგუფების შესახებ ინფორმაცია სრულად იხ. [დანართში](#).

3. 4. ინტერპელაცია

პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. ადრესატი ვალდებულია შეკითხვას პირადად უპასუხოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

პარლამენტში ინტერპელაცია ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ იმართება: საგაზაფხულო სესიაზე – მარტსა და მაისში. საშემოდგომო სესიაზე – სექტემბერსა და ნოემბერში.

საანგარიშო პერიოდში **2** ინტერპელაცია ჩატარდა, ორივე შემთხვევაში საპარლამენტო განხილვები, მათ შორის, შეეხებოდა პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს.¹⁷

ცხრილი. ინტერპელაციით გაგზავნილი კითხვებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია			
თარიღი	ფრაქცია	ადრესატი	შეკითხვების რაოდენობა და თემატიკა
5.05.2020	„ნაციონალური მოძრაობა“	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია 29.05.2020 ინტერპელაციის ჩატარების თარიღი: 29.05.2020	საგანგებო მდგომარეობაში სიღარიბის შემცირების ღონისძიებები, ბავშვთა და პენსიონერთა სიღარიბე.

¹⁷ „პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებს უპასუხა“, საქართველოს პარლამენტი, <https://bit.ly/308j3Ru> ; „საქართველოს პარლამენტის წინაშე, ინტერპელაციის წესით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა წარდგა“, საქართველოს პარლამენტი, <https://bit.ly/3qqn2UL> .

<p>8.05.2020</p>	<p>„ევროპული საქართველო“,</p> <p>„ევროპული საქართველო რეგიონები“,</p> <p>„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“</p>	<p>პრემიერ-მინისტრი</p> <p>გიორგი გახარია</p> <p>ინტერპელაციის ჩატარების თარიღი: 29.05.2020</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გადასახადების შემცირება; 2. საპენსიო ფონდის თანხების განკარგვა; 3. თვითდასაქმებულთა დახმარება; 4. სამსახურდაკარგულთა დახმარების თანხების ოდენობა; 5. გვიან წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა; 6. ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება; 7. საგანგებო მდგომარეობის შეზღუდვების არაერთგვაროვანი და შერჩევითი გამოყენება.
<p>3.09.2020</p>	<p>„ევროპული საქართველო“,</p> <p>„ევროპული საქართველო რეგიონები“,</p> <p>„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“</p>	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი</p> <p>ნათელა თურნავა</p> <p>ინტერპელაციის ჩატარების თარიღი: 18.09.2021</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გადასახადების შემცირების მიზანშეწონილობა; 2. ბიუროკრატიული ხარჯების და არაეფექტური სახელმწიფო პროგრამების შემცირების მიზანშეწონილობა; 3. ტურისტული ჩარტერული რეისებისთვის უარის თქმის მიზეზი; 4. იძულებით საკარანტინო ღონისძიებებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის; 5. პრობლემები უსაფრთხო ქვეყნების სიის ფორმირებაში; 6. უსაფრთხო ქვეყნებში ფრენებზე უარის თქმის მიზანშეწონილობა.

<p>14.05.2021</p>	<p>პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი (პარლამენტის წევრები: თეონა აქუბარდია, გრიგოლ ვაშაძე, გიორგი ვაშაძე, დავით ბაქრაძე, ხათუნა სამნიძე, პაატა მანჯგალაძე, ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე)</p> <p>[პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად ამ პირთა მოსმენა საშემოდგომო სესიაზე უნდა გაიმართოს.]</p>	<p>1.პრემიერ- მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი</p> <p>2.საგარეო საქმეთა მინისტრი</p> <p>3.ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი</p> <p>4.განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი</p>	<p>1.ინფლაციის საკითხი; პანდემიიდან გამომდინარე საშუალო და მცირე ბიზნესის მდგომარეობასთან დაკავშირებით, პოზიცია შემზღუდავ ღონისძიებებთან (კომენდანტის საათი და სხვა) დაკავშირებით ზაფხულის სეზონის პირობებში; საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია; პენსიის ექსკლუზიურად ერთი ბანკის მიერ გაცემის საკითხი.</p> <p>2. დეოკუპაციასთან დაკავშირებით სამინისტროს სტრატეგია; „ტატუნაშვილი - ოთხოზორიას სია“, ნატოში განწევრებასთან დაკავშირებით სტრატეგია; 2024 წელს ევროკავშირში განწევრებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა; გაეროს რეზოლუციაზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებით, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს შეეხება.</p> <p>3. მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით; აქციზის განაკვეთთან დაკავშირებით; ტურიზმის სექტორისა და ადგილობრივი წარმოების სტიმულირების საკითხი; საგარეო ვალი.</p> <p>4. ბიუჯეტის ოდენობისა და განხორციელებული პოლიტიკის შესაბამისობის საკითხი; სკოლის ფინანსური და მმართველობითი დეცენტრალიზაციის საკითხი; „კორონავირუსის“ პანდემიის ზეგავლენა განათლების სექტორზე, სამინისტროს გეგმები ამ მიმართულებით.</p>
-------------------	--	--	--

3. 5. შინისთრის საათი

მინისტრის საათი გულისხმობს წელიწადში ერთხელ საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების (გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას.

კონტროლის ეს მექანიზმი საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით) გამოყენებული არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე უკვე არსებობდა 2020 წლის განმავლობაში ჩასატარებელი მინისტრის საათის **განრიგი**, მინისტრების მოსმენა პარლამენტში **არ შემდგარა**¹⁸, რაც რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმი პარლამენტს შესაძლებლობას მისცემდა, პანდემიის პირობებში, ცალკეულ, მნიშვნელოვან საკითხებზე უშუალოდ მინისტრებისგან მოესმინა ანგარიშები. მით უფრო, რომ პრეზიდენტის დეკრეტით ცალკეულ საკითხთა მოწესრიგების კომპეტენცია სწორედ სამინისტროებს მიენიჭათ.

2020 წლის მინისტრის საათის განრიგის შესაბამისად, სულ 11 მოსმენა უნდა შემდგარიყო, თუმცა 7 მინისტრის საათი არ ჩატარდა.

ოპოზიციის უმეტესი ნაწილი მინისტრის საათის მოსმენებს ბოიკოტის გამო არ ესწრებოდა.

მინისტრის საათი, რომელიც არ ჩატარდა საანგარიშო პერიოდში

<i>განრიგით განსაზღვრული თარიღი</i>	<i>ანგარიშვალდებული პირი/ორგანო</i>
14–16 აპრილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ლევან დავითაშვილი
28 აპრილი – 1 მაისი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური
15 მაისი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - მიხეილ ჩხენკელი
27–29 მაისი	საქართველოს იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი
23–26 ივნისი	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ბაქალაიანი
1–4 სექტემბერი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - ნათელა თურნავა
1–4 სექტემბერი	საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში - ქეთევან ციხელაშვილი

18 ვრცლად იხ. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია 2020 წელს საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ, <https://bit.ly/30jXoWC> . საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაგეგმილი 3 მინისტრის საათი ჩატარდა, ვრცლად იხ. <https://info.parliament.ge/file/1/OpenFile/3931> .

რაც შეეხება 2021 წელს, ყველა მინისტრის საათი დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით ჩატარდა.

ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მინისტრის საათის შესახებ	
პერიოდი	ანგარიშვალდებული პირი/ორგანო
12.06.20	თავდაცვის მინისტრი
17.02.21	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
05.03.21	შინაგან საქმეთა მინისტრი
18.03.21	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
28.04.21	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
13.05.21	თავდაცვის მინისტრი
11.06.21	ფინანსთა მინისტრი
18.11.21	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი
19.11.21	საგარეო საქმეთა მინისტრი
01.12.21	განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
03.12.21	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი
16.12.21	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
17.12.21	იუსტიციის მინისტრი

3. 6. პარლამენტის წევრის კითხვა

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა. კითხვა უნდა იყოს წერილობითი.

საანგარიშო პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებით **18**-მა დეპუტატმა **53** კითხვა გაუგზავნა ანგარიშვალდებულ პირს/ორგანოს, აქედან პასუხი გაეცა **41** -ს. გაგზავნილი კითხვებიდან **38**-ის ავტორი ოპოზიციის წარმომადგენელი იყო, ხოლო **15** შემთხვევაში - უმრავლესობის. პანდემიასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი კითხვა (13 კითხვა) დასვა უმრავლესობის დეპუტატმა - მიხეილ სარჯველაძემ, ოპოზიციიდან კი, გიორგი კანდელაკმა (12 კითხვა).

საანგარიშო პერიოდში გაგზავნილი პარლამენტის წევრის კითხვების რაოდენობა

სულ გაგზავნილი კითხვები

2411

უშუალოდ პანდემიასთან დაკავშირებული კითხვები

53

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში იხილეთ ადრესატები, რომლებმაც არ უპასუხეს პარლამენტის წევრის კითხვას:

კითხვის ავტორი	კითხვის ადრესატი
კანდელაკი გიორგი, „ევროპული საქართველო“	ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი
კანდელაკი გიორგი, „ევროპული საქართველო“	თბილისის მუნიციპალიტეტის მერი - კახა კალაძე
კანდელაკი გიორგი, „ევროპული საქართველო“	ფოთის მერი - გონა კურდღელია
წილოსანი ნინო, „ქართული ოცნება“	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე

ბუნეკური ანა	პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი
სარჯველაძე მიხეილ, „ქართული ოცნება“	მთავრობის საპარლამენტო მდივანი - ბექა დოჭვირი
გოცირიძე რომან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე
სამხარაძე ნიკოლოზ, „ქართული ოცნება“	საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ბაქაძე
თეონა აქუბარდია, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე
ნაცვლიშვილი ანა, „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე
მიხეილ სარჯველაძე, „ქართული ოცნება“	ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი
მიხეილ სარჯველაძე, „ქართული ოცნება“	შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური

პანდემიასთან დაკავშირებით გაგზავნილი კითხვების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. [დანართში](#).

4.1. მექანიზმები, რომელიც არ გამოიყენა პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის დროს

საგანგებო მდგომარეობის დროს, პარლამენტის მხრიდან, არც კომიტეტებისა და ფრაქციების და არც პარლამენტის ცალკეული წევრების მიერ არ იქნა გამოყენებული საპარლამენტო კონტროლის შემდეგი მექანიზმები:

- ▶ მინისტრის საათი.
- ▶ ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი.
- ▶ პარლამენტს პრემიერ-მინისტრისგან არ მოუთხოვია სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.
- ▶ პარლამენტის კომიტეტებს, ფრაქციებს, არ მოუთხოვიათ პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის და ორგანოს ხელმძღვანელის მისვლა.
- ▶ პარლამენტს (პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3) არ მოუწვევია პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრი, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი და ორგანოს ხელმძღვანელი.

4.2. თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე დასწრება

- ▶ პარლამენტს პრემიერ-მინისტრისგან არ მოუთხოვია სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.¹⁹
- ▶ კომიტეტებს, ფრაქციებს, არ მოუთხოვიათ პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის ან ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის მისვლა.²⁰
- ▶ პარლამენტს (პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3-ის გადანაცვებით) არ მოუწვევია პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრი, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი და ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი.²¹

19 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 151, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

20 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 152, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

21 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 152, 06/12/2018, 3875-რს, <https://bit.ly/3DcFzHz>.

4. 3. თანამდებობის პირების მოწვევა კომიტეტის სხდომაზე

▶ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია, დაესწროს კომიტეტის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განუვლი საქმიანობის ანგარიში. სხდომაზე თანამდებობის პირს კომიტეტი იბარებს თუ მოწვევა მოთხოვნილია კომიტეტის წევრთა უმრავლესობის, ან კომიტეტის წევრი დეპუტატის ფრაქციის მიერ.

საანგარიშო პერიოდში ოპოზიციურმა ფრაქციებმა კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის მოწვევის საკითხი **10-ჯერ** დააყენეს, აქედან 4-ჯერ - „კორონავირუსის“ თემატიკასთან დაკავშირებით. კომიტეტებზე ანგარიშვალდებული პირები არ გამოცხადდნენ. ეს მექანიზმი უმრავლესობის ფრაქციებს არ გამოუყენებიათ.

- 2020 წლის 20 მაისს ფრაქციამ „დამოუკიდებელი დეპუტატები“ კომიტეტის სხდომაზე მოიწვიეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე, რომელიც კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადდა. აღნიშნულის მიზეზი უცნობია, რადგან ამის თაობაზე ინფორმაცია პარლამენტს არ მოუწოდებია და არც ვებგვერდზე არის განთავსებული.
- 2021 წელს ოპოზიციურმა ფრაქციებმა პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამსჯელოდ ანგარიშვალდებული პირების მოწვევა 3-ჯერ მოითხოვეს, თუმცა საკომიტეტო მოსმენა კვლავაც არ შედგა.

ფრაქციის ინიციატივით თანამდებობის პირის დაბარების დროს მოქმედებს შეზღუდვა, რომლის თანახმად, თუ პირი სავალდებულო დაბარების წესით ერთხელ უკვე იმყოფებოდა კომიტეტის სხდომაზე, შემდეგი ორი თვის განმავლობაში მისი დაბარების უფლება მხოლოდ კომიტეტის უმრავლესობის მოთხოვნით შეიძლება.

ქვემოთ მოცემულ ორ შემთხვევაში, პარლამენტის მხრიდან მითითებულია, რომ ვინაიდან პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება, კომიტეტებზე მიწვევისთვის გათვალისწინებულ ვადებში სხდომაზე გამოცხადების ვალდებულება აღარ არსებობს; ხოლო მესამე შემთხვევაში (ინიციატორი - „მარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია), პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობდა კონსულტაცია თარიღთან დაკავშირებით, თუმცა ბემოაღნიშნული ფრაქციის გაუქმების გამო საკითხი ღიად დარჩა.

ინფორმაცია ფრაქციების მიერ კომიტეტზე ანგარიშვალდებული პირების დაბარებასთან დაკავშირებით:

მინვევის ინიციატორი	საკითხი	კომიტეტი	ანგარიშვალდებული პირი
„ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქცია (2021)	<ol style="list-style-type: none"> 1. „რამდენად გაართვა თავი სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას პანდემიასთან ბრძოლის ჭრილში; 2. რამდენად არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები, მათ შორის, „კომენდანტის საათი“, გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული პანდემიასთან ბრძოლის მიზნებთან.“ 	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი</p> <p>საქართველოს იუსტიციის მინისტრი</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი</p>
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია (2021)	<ol style="list-style-type: none"> 1. „როდის შესრულდება ვაქცინაციის ეროვნული გეგმა; 2. როდის, რა რაოდენობით და რომელი ვაქცინის შემოტანა იგეგმება საქართველოში უახლოეს მომავალში.“ 	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია (2021)	<ol style="list-style-type: none"> 1. ვაქცინაციის ეროვნული გეგმის შესრულება; 2. ვაქცინის შემოტანასთან დაკავშირებული გეგმები უახლოეს მომავალში; 3. ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა. 	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

რაც შეეხება კომიტეტების მხრიდან ანგარიშვალდებული პირების მიწვევის საკითხს, მათ ეს უფლებამოსილება საანგარიშო პერიოდში 9-ჯერ გამოიყენეს, თუმცა არცერთი არ ეხებოდა „კორონავირუსის“ თემატიკას, აქედან, ანგარიშვალდებული პირი მხოლოდ 6 შემთხვევაში გამოცხადდა.²²

22 კომიტეტის მიერ სხდომაზე მიწვეული პირები: ფინანსთა მინისტრის მოადგილე - გიორგი კაკაურიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ხათუნა თოთლაძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი - გონა ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - კობა გვენეტაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი.

- ქვეყნისთვის კრიზისულ ვითარებაში პარლამენტმა ეფექტურად უნდა განახორციელოს საპარლამენტო ზედამხედველობა. ასეთ ვითარებაში პარლამენტმა არათუ უარი არ უნდა თქვას თავისი ფუნქციის შესრულებაზე, არამედ სრულყოფილად უნდა განახორციელოს საპარლამენტო ზედამხედველობა. განსაკუთრებულ კონტროლს საჭიროებს მთავრობის მიერ დაწესებული შებლუდვები, რომლებიც უშუალოდ ადამიანის უფლებების შებლუდვას ეხება;
- პარლამენტმა, მისი კომიტეტების მეშვეობით, სისტემატურად უნდა შეამოწმოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც „კორონავირუსის“ პანდემიის მართვას შეეხება;
- კომიტეტებმა სხდომაზე უნდა მოიწვიონ ანგარიშვალდებული პირები და მოისმინონ ინფორმაცია „კორონავირუსის“ პანდემიის მართვასთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფო შესყიდვები და კორუფციის რისკები პანდემიის დროს;
- მთავრობის წევრები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საპარლამენტო კონტროლს იმ შემთხვევაშიც, თუ კონტროლის ინიციატორი ოპოზიციას, უნდა გამოცხადდნენ ფრაქციის მიწვევით კომიტეტის სხდომაზე და დროულად და სრულფასოვნად უპასუხონ სადეპუტატო კითხვებს;
- პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილმა თემატური მოკვლევის ჯგუფებმა ეფექტური ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებაზე მთავრობის მხრიდან;
- პარლამენტის ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ასევე, საზოგადოებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია თანამდებობის პირის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზთან დაკავშირებით.

[დანართი 1.](#) საანგარიშო პერიოდში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფები

[დანართი 2.](#) პარლამენტის წევრის კითხვები პანდემიასთან დაკავშირებით